საქართველოს მთავრობის

დადგენილება №23

2008 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 იანვრის №33 ბრძანებულების შესაბამისად:

1. შეიქმნას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და დამტკიცდეს აპარატის თანდართული დებულება და საშტატო ნუსხა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 30 ერთეულით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის დადგენილება №129-სსმ III, №93, 28.07.2009წ., მუხ.993
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №10-ვებგვერდი,11.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 აპრილის დადგენილება №194-ვებგვერდი,03.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

3. (ამოღებულია – 24. 12.2013, №362).

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ვ. გურგენიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 მარტის დადგენილება №49-სსმ III, №38, 11.03.2008წ., მუხ.410
2. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის დადგენილება №130-სსმ III, №82, 10.06.2008წ., მუხ.880
3. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №160, 06.11.2008წ., მუხ.1616
4. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №259-სსმ III, №186, 30.12.2008წ., მუხ.1936
5. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
6. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის დადგენილება №129-სსმ III, №93, 28.07.2009წ., მუხ.993
7. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №10-ვებგვერდი,11.01.2011წ.
8. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 აპრილის დადგენილება №194-ვებგვერდი,03.05.2011წ.
9. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის დადგენილება №158 – ვებგვერდი, 21.06.2013წ.
10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულება

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში – აპარატი) იქმნება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის

შესაბამისად.

2. აპარატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაცია;

ბ) ყველა იძულებით გადაადგილებული პირის და მათი შთამომავლების ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; ფართო სამოქალაქო ინტეგრაციული პროცესების წარმართვა;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციების განხორციელება შესაბამისი წარმომადგენლების მეშვეობით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო რწმუნებულებთან – გუბერნატორებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან უწყებათაშორისი თანამშრომლობა;

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი ეგიდით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირებისა და სხვა ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა და კოორდინაცია, აგრეთვე ამ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან დიალოგის წარმართვა და მჭიდრო თანამშრომლობა;

ზ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური კურსისა და სტრატეგიის თაობაზე წინადადების შემუშავება.

3. აპარატი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებითა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის ბრძანებებითა და ამ დებულებით.

4. აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარდგენით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

5. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

6. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი განკარგავს აპარატის საქმიანობისათვის გამოყოფილ სახსრებს.

7. აპარატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის დადგენილება №130-სსმ III, №82, 10.06.2008წ., მუხ.880
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №160, 06.11.2008წ., მუხ.1616
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის დადგენილება №129-სსმ III, №93, 28.07.2009წ., მუხ.993
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

მუხლი 2. აპარატის ფუნქციები და ამოცანები

თავისი კომპეტენციის ფარგლებში აპარატის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმართ სამშვიდობო პროცესის წარმართვა, სამშვიდობო პროცესში საინიციატივო წინადადებებისა და ფორმატების შემუშავება, შეთავაზება და მასში მონაწილეობა;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

ოლქის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათ შთამომავალთა უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე რეინტეგრაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

დ) მთავრობის სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირება, განხორციელება; უწყებათაშორისი, ადგილობრივი, რეგიონალური თანამშრომლობის განხორციელება. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ინიციატივებისა და მათი განხორციელების ხელშეწყობა. შემუშავებული პროგრამების ზედამხედველობა და განხორციელება;

ე) საქართველოს მთავრობისათვის შერიგებასა და რეინტეგრაციასთან, სამოქალაქო ინტეგრაციასა და თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული რეკომენდაციების, პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და წარდგენა;

ვ) საზოგადოების ინფორმირება სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებით;

ზ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოურ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან მოლაპარაკებისა და კონსულტაციების წარმართვა უწყების მიზნების მისაღწევად;

თ) შერიგების, რეინტეგრაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია;

ი) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკების წარმართვა და მასში მონაწილეობა;

კ) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებულ საკითხებზე მაღალი და საექსპერტო დონის უწყებათაშორისი კომისიების საქმიანობის ორგანიზება და წარმართვა;

ლ) შერიგებასთან, რეინტეგრაციასთან, სამოქალაქო ინტეგრაციასა და თანასწორობასთან დაკავშირებული სპეციალური ფონდის კანონმდებლობით დადგენილი წესით ორგანიზება, სათანადო პროგრამების ინიციირება, კოორდინირება და მათი განხორციელების ზედამხედველობა;

მ) საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი ეგიდით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირებისა და სხვა ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების წინასწარ განხილვა მათი განხორციელების ხელშეწყობისა და კოორდინაციის მიზნით, აგრეთვე ამ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან დიალოგის წარმართვა და მჭიდრო თანამშრომლობა;

ნ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური კურსისა და სტრატეგიის თაობაზე წინადადების შემუშავების მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის დადგენილება №130-სსმ III, №82, 10.06.2008წ., მუხ.880
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №160, 06.11.2008წ., მუხ.1616
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის დადგენილება №129-სსმ III, №93, 28.07.2009წ., მუხ.993
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

მუხლი 3. აპარატის სტრუქტურა და შემადგენლობა

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულები და ქვედანაყოფებია:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა.ა) პოლიტიკური ანალიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;

ა.ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და პროექტების მართვის სამმართველო;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ბ.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა სამმართველო;

ბ.ბ) სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველო;

გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

2. ამ დებულებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად აპარატში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

ბ) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე;

გ) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწე;

დ) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე;

ე) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;

ვ) დეპარტამენტის უფროსი;

ვ[1]) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზ) სამმართველოს უფროსი;

თ) მთავარი მრჩეველი;

ი) მრჩეველი;

კ) მთავარი ბუღალტერი;

ლ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ადმინისტრატორი;

მ) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;

ნ) საქმეთა მმართველი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 მარტის დადგენილება №49-სსმ III, №38, 11.03.2008წ., მუხ.410
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის დადგენილება №130-სსმ III, №82, 10.06.2008წ., მუხ.880
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №160, 06.11.2008წ., მუხ.1616
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის დადგენილება №129-სსმ III, №93, 28.07.2009წ., მუხ.993
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №10-ვებგვერდი,11.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 აპრილის დადგენილება №194-ვებგვერდი,03.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის დადგენილება №158 – ვებგვერდი, 21.06.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.

მუხლი 4. აპარატის ხელმძღვანელობა

1. აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

2. აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო მინისტრი.

3. სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე:

ა) მოქმედებს სახელმწიფო მინისტრის მითითებით, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს აპარატის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სახელმწიფო მინისტრს სამთავრობო სტრუქტურებში, შეხვედრებსა და ფორუმებზე, აგრეთვე ასრულებს სახელმწიფო მინისტრის მოვალეობას შვებულების, მივლინების ან სხვა აუცილებელი მიზეზით მისი არყოფნის დროს;

გ) სახელმწიფო მინისტრს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა კანდიდატურებს, აგრეთვე წინადადებებს მათი ფუნქციური მოვალეობების შესახებ.

4. (ამოღებულია).

5. (ამოღებულია).

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №259-სსმ III, №186, 30.12.2008წ., მუხ.1936
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №10-ვებგვერდი,11.01.2011წ.

მუხლი 5. აპარატის თანამშრომლები

1. აპარატის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2. (ამოღებულია).

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №10-ვებგვერდი,11.01.2011წ.

მუხლი 6. აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა

სტრუქტურა, თანამდებობა	რაოდენობა
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში	2
დეპარტამენტის უფროსი	3
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1
სამმართველოს უფროსი	4
მთავარი მრჩეველი	10
მრჩეველი	2
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწე	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე	1
მთავარი ბუღალტერი	1
საინფორმაციო ტექნოლოგიების ადმინისტრატორი	1
საქმეთა მმართველი	1
სულ	30

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 მარტის დადგენილება №49-სსმ III, №38, 11.03.2008წ., მუხ.410

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის დადგენილება №130-სსმ III, №82, 10.06.2008წ., მუხ.880
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება №216-სსმ III, №160, 06.11.2008წ., მუხ.1616
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №259-სსმ III, №186, 30.12.2008წ., მუხ.1936
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება №75-სსმ III, №47, 16.04.2009წ., მუხ.523
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის დადგენილება №129-სსმ III, №93, 28.07.2009წ., მუხ.993
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №10-ვებგვერდი,11.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 აპრილის დადგენილება №194-ვებგვერდი,03.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის დადგენილება №158 – ვებგვერდი, 21.06.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №362 – ვებგვერდი, 25.12.2013წ.